საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №127/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 17 ივლისის №127 წინადადების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ნაწილობრივ.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

სახალხო დამცველის წინადადებაში აღნიშნულია, რომ განმცხადებელი -- -- მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 21 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- --, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი -- -- მიმართ.

2018 წლის 24 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა 7 დღის ვადა. 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით ხარვეზის შევსების მიზნით დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 7 დღით. 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული; მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 11 აპრილს.

2019 წლის 28 მარტს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2019 წლის 11 აპრილის საოქმო განჩინებით სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 20 ივნისს.

2019 წლის 20 ივნისის განჩინებით -- -- უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სახელმწიფო -- სამსახური.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 17 ივლისის №127 წინადადების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“

ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით -- -- სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, შესაბამისად მოცემული დროისათვის 5 თვით აჭარბებს საქმის განხილვის პერიოდი კანონით დადგენილ ვადას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 754 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 570 საქმე (75.6%), ხოლო 2019 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 590 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 349 საქმე (59%).

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №127/19 შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი